ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N 120/ბ

11 ოქტომბერი 2019 წელი

მცხეთა

საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ"-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ვ) ქვეპუნქტის საფუძველზე, ერთის მხრივ, მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია, შემდგომში შემსყიდველი", მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის გიორგი კაპანაძის სახით , და მეორეს მხრივ, ი.მ „თამარ ჯიშკარიანი", შემდგომში „მიმწოდებელი", ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე;

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 2019 წლის 13 ოქტომბრიდან 2019 წლის 15 ოქტომბრის ჩათვლით მცხეთობის დღესასწაულთან დაკავშირებით მოწვეული უცხოელი სტუმრების (ლიეტუადან) სასტუმროთი მომსახურება. (CPV 55100000). (წარმომადგენლობითი ხარჯი).

2. მომსახურების მიწოდების ვადა და ღირებულება

2.1 მომსახურების მიწოდების ვადაა 2019 წლის 13 ოქტომბრიდან 2019 წლის 15 ოქტომბრის ჩათვლით.

2.2 ხელშეკრულების ღირებულება 640 .00 (ექვსას ორმოცი) ლარი.

3. ანგარიშსწორება

3.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ლარში.

4 მხარეთა უფლება – მოვალეობები

4.1 "მიმწოდებელი" კისრულობს ვალდებულებას:

4.2 გაუწიოს მომსახურება ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში, შესაბამისი ხარისხით.

4.3 „შემსყიდველი" კისრულობს ვალდებულებას:

4.4 უზრუნველყოს თანხის ჩარიცხვა გაწეული შესრულებული მომსახურების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღეში.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

5.1 თუ 'მიმწოდებელი" არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, 'შემსყიდველი" წერილობითი ფორმით აფრთხილებს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.

5.2 ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში 'შემსყიდველს" უფლება აქვს განიხილოს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.

5.3 შესყიდვის არაჯეროვნად ან არშესრულების და ვადაგადაცილების შემთხვევაში 'შემსყიდველი" უფლებამოსილია 'მიმწოდებელს" არ აუნაზღაუროს გასაწევი მომსახურების ღირებულება და დააკისროს პირგასამტეხლო გასაწევი მომსახურების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

5.4 იმ შემთხვევაში, თუ ხელშკრულების 5.3 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს ოდენობა მიაღწევს მთლიანი სახელშეკრულებლო ღირებულების 2%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

6. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

6.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

7. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

7.1 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასები და უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. ფორს – მაჟორი

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შესრულება გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1 წამოჭრილი დავები ან აზრთა სხადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

9.2 თუ „მიმწოდებელი" და „შემსყიდველი" მოლაპარაკების დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში ვერ შესძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. სხვა პირობები

10.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

10.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის თანხმობის გარეშე.

10.3 ხელშეკრულება დგება ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

11 ხელშეკრულების პირობების კონტროლი

11.1 ხელშეკრულების პირობების კონტროლს და შესრულებულ მომსახურების აქტზე ხელმოწერას განახორციელებს მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების და კულტურის განყოფილების ხელმძღვანელი ინნა ახალბედაშვილი.

12.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

13. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი	მიმწოდებელი
მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია	ი.მ „თამარ ჯიშკარიანი“
მის: ქ. მცხეთა, ანტიოქიის N7	მის: მცხეთა, არსუკიძის ქ. N67
სახელმწიფო ხაზინა	სს „საქართველოს ბანკი“
ხაზინის კოდი: TRESGE22	ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ნ GE24NB 0330 1002 0016 5022	ა/ნ GE15BG0000000568020900
ს/კ 236099789	პ/ნ 31001049080
ტელ: 251 26 96	
მუნიციპალიტეტის მერი	ი.მ „თამარ ჯიშკარიანი“
გიორგი კაპანაძე	

Mtskheta Municipality Digitally signed by Mtskheta Municipality Date: 2019.10.11 18:16:57 +04'00'

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ვადასტურებ, აღნიშნულ შესყიდვაში ჩემი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის I თავის მე-8 მუხლის გათვალისწინებულ პირობებს. ი.მ „თამარ ჯიშკარიანი" *ს/კ 31001049080;.*

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერი

გიორგი კაპანაძე

Mtskheta Municipality

Digitally signed by Mtskheta Municipality
Date: 2019.10.11 18:17:30 +04'00'